

**„გადაუდებელი მედიცინა“**

**1. სპეციალობის დასახელება - „გადაუდებელი მედიცინა“.**

**2. სპეციალობის შინაარსი:**

„გადაუდებელი მედიცინა“ ეს არის მულტიდისციპლინური სპეციალობა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა სირთულის მწვავე ან გამწვავებული ქრონიკული ჩივილების მქონე პაციენტების მართვას, დიფერენციალური დიაგნოზის ჩატარებას, ჩივილების მოხსნა/დასტაბილურებას, პაციენტის დისპოზიციაზე გადაწყვეტილების მიღებას და შესაბამისი რეკომენდაციების მიცემას. გადაუდებელი მედიცინის ექიმის სამუშაო არეალია გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტი (განყოფილება)/სამსახური და პრეჰოსპიტალური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები. აღნიშნულ დეპარტამენტში (განყოფილებაში)/სამსახურში პაციენტების მართვა ხდება მაქსიმუმ 24 საათის განმავლობაში.

**3. ზოგადი ცოდნა:**

ა) გადაუდებელი მედიცინის ექიმს უნდა შეეძლოს გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტში შემოსული სომატური, ქირურგიული, ტრავმა, სამეანო-გინეკოლოგიური, პედიატრიული თუ ფსიქიატრიული პაციენტების მართვა მათი გადაუდებელი მედიცინის ერთეულიდან დისპოზიციაზე გადაწყვეტილების მიღებამდე და უნდა გააჩნდეს შესაბამისი ცოდნა აღნიშნულ სფეროებში;

ბ) გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტი უნდა ფლობდეს მწვავე ან გამწვავებული ქრონიკული ჩივილების მართვისთვის აუცილებელ საბაზისო ცოდნას მედიცინის შემდეგ სფეროში:

ბ.ა) კარდიოვასკულური პათოლოგიები;

ბ.ბ) კრიტიკული მდგომარეობები;

ბ.გ) ანესთეზიოლოგია;

ბ.დ) შინაგანი სნეულებები;

ბ.ე) ქირურგიული პათოლოგიები;

ბ.ვ) ნევროლოგიური სინდრომები/პათოლოგიები;

ბ.ზ) მეან/გინეკოლოგიური მდგომარეობები/პათოლოგიები;

ბ.თ) ორთოპედიული პათოლოგიები;

ბ.ი) ტრავმა;

ბ.კ) ტოქსიკოლოგიური პათოლოგიები;

ბ.ლ) პედიატრიული პათოლოგიები;

ბ.მ) გერიატრია;

ბ.ნ) ფსიქიატრიული პათოლოგიები;

ბ.ო) უროლოგიური პათოლოგიები;

ბ.პ) ოტო-ლარინგოლოგიური პათოლოგიები;

- ბ.ჟ) ოფთალმოლოგიური პათოლოგიები;
- ბ.რ) დერმატოლოგიური პათოლოგიები;
- ბ.ს) გარემო ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეული პათოლოგიები;
- ბ.ტ) პრეჰოსპიტალური მართვა;
- ბ.უ) ადმინისტრირების საფუძვლები;
- ბ.ფ) კლინიკური ეპიდემიოლოგიის საფუძვლები.

**4. დაავადებები და მდგომარეობები:**

ICD 10	პათოლოგია	საქმიანობის მოცულობა
I00 - I99	სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	მართვა გადაუდებელი მედიცინის ერთეულიდან დისპოზიციაზე გადაწყვეტილები ს მიღებამდე
M00-M99	ძვალ-კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებები	
L00 - L99	კანისა და კანქვეშა ქსოვილის დაავადებები	
C00-C97, D00-D48	სიმსივნეები	
D50-D89	სისხლისა და სისხლმზადი ორგანოს დაავადებები და იმუნური მექანიზმით მიმდინარე დარღვევები	
F00-F99	ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	
J00-99	სასუნთქი სისტემის დაავადებები	
K00-K93	საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	
E00-E90	ენდოკრინული სისტემის, კვლევებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოვლენილი დაავადებები	
G00-G99	ნერვული სისტემის დაავადებები	
O00 - O99.	ორსულობა, მშობიარობა, ლოგინობის ხანა	
H00 - H59.	თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფოვები	
A00-A99, B00-B99	ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადებები	
H60 - H95	ყურისა და დვრილისებრი მორჩის დაავადებები	
R00-R99	სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრილი კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში	
S00 – S99; T00 – T98	დაზიანება, მოწამვლა და გარე მიზეზების ზემოქმედებები	
V01-V99, W00-W19, W50-W64, W65-W74, W85-W99, X00-X09, X10-X59, X60-X84, Y35-Y36, Y40-Y84, Y85-Y89, Y90-Y98	ავადობის და სიკვდილობის გარეგანი მიზეზები	
N00-N99	შარდსასქესო სისტემის დაავადებები	

**5. პრაქტიკული უნარ-ჩვევები:**

- ა) გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტს შეუძლია შემდეგი კვლევის მონაცემების ინტერპრეტაცია:
  - ა.ა) ელექტროკარდიოგრაფია;

ა.ბ) სასუნთქი, გულ-სისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ღვიძლის, თირკმლების და სხვა შინაგანი ორგანოების, ენდოკრინული სისტემის შესაფასებელი ლაბორატორიული ტესტები (გამოკვლევები);

ა.გ) კოაგულოგრამის, მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის, გაზთა ცვლის, წყალ-ელექტროლიტური ბალანსი (აღების ჩათვლით);

ა.დ) ბიოლოგიური სითხეების/გამონაყოფების აღება ლაბორატორიული შესწავლისათვის, მათი შედეგების ინტერპრეტაცია;

ა.ე) გულ-მკერდის, მუცლის ღრუს, თავის ქალას, ძვალ-სახსროვანი სისტემის რენტგენოლოგიური კვლევების შედეგების ინტერპრეტაცია;

ა.ვ) სისხლის კლინიკური ანალიზები (საერთო, ბიოქიმიური, კოაგულოგრამა და ა.შ.);

ა.ზ) შარდის კლინიკური ანალიზები;

ა.თ) ბაქტერიოლოგიური კვლევები;

ა.ი) იმუნო-სეროლოგიური კვლევები;

ა.კ) ქალასშიდა წნევის მაჩვენებელი;

ა.ლ) ელექტროენცეფალოგრაფია;

ა.მ) თორაკოცენტეზი;

ა.ნ) ბრონქოსკოპია;

ა.ო) ენდოსკოპიური კვლევები (ეზოფაგო-გასტრო-კოლონო-რექტო);

ა.პ) გასტროინტესტინური სისხლდენის ენდოსკოპიური მკურნალობა;

ა.ჟ) ულტრაბგერითი გამოკვლევა; სისხლძარღვების დოპლეროგრაფია;

ა.რ) სადიაგნოსტიკო რადიოლოგიური მეთოდები (კომპიუტერული ტომოგრაფია და ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსი);

ა.ს) სისხლძარღვებში, ორგანოებსა და სხვა სტრუქტურებში ინტერვენციული და რადიოლოგიური სტენტირება და პროტეზირება.

ბ) გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტს შეუძლია შემდეგი ჩარევების-კვლევების შესრულება:

ბ.ა) ვენესექცია, ინტრავენური, ინტრამუსკულარული, სუბკუტანეური ინექციები;

ბ.ბ) ძვალშიდა ინექციები;

ბ.გ) ბიოლოგიური სითხეების/გამონაყოფების აღება;

ბ.დ) რესპირაციული დარღვევების ამოცნობა და კორექცია;

ბ.ე) ტრაქეის ინტუბაცია; ტრაქეის სწრაფი თანმიმდევრული ინტუბაცია;

ბ.ვ) მექანიკური ვენტილაცია – ჩვენება, ინიცირება, მართვა;

ბ.ზ) კაპნომეტრია;

ბ.თ) კრიკოთირეოტომია;

ბ.ი) უცხო სხეულის აღმოჩენა და მოცილება (თვალი, ყური);

ბ.კ) ადგილობრივი და ზოგადი ანესთეზია;

ბ.ლ) პროცედურული სედაცია;

ბ.მ) ჰემოტრანსფუზია გადაუდებელი ჩვენებით;

ბ.ნ) ნუტრიციული მხარდაჭერა - ჩვენება, ტექნიკა, სრული პარენტერული კვება;

ბ.ო) ელექტროკარდიოგრაფია;

- ბ.პ) “FAST” - ფოკუსირებული მუცლის ულტრასონოგრაფია და პერიკარდსა და პლევრაში სითხის არსებობის შეფასება;
- ბ.ჟ) ლუმბალური პუნქცია;
- ბ.რ) ნაზოგასტრალური ზონდის ჩადგმა;
- ბ.ს) გადაუდებელი პარაცენტეზი;
- ბ.ტ) გადაუდებელი პერიკარდიოცენტეზი;
- ბ.უ) გადაუდებელი პლევრის ღრუს დრენირება;
- ბ.ფ) რინოსკოპია;
- ბ.ქ) ოტოსკოპია;
- ბ.ღ) ლარინგოსკოპია;
- ბ.ყ) ოფთალმოსკოპია;
- ბ.შ) შარდის ბუშტის კათეტერიზაცია:
- ბ.შ.ა) ფოლის კათეტერის ჩადგმა;
- ბ.შ.ბ) ტრანსკუტანეული შარდის ბუშტის კათეტერიზაცია გადაუდებელ შემთხვევებში.
- ბ.ჩ) ცხვირის წინა და უკანა ტამპონადა (გადაუდებელ შემთხვევაში) – არაკონტროლირებული სისხლდენის დროს;
- ბ.ც) პერიტონზილარული/რეტროფარინგეალური აბსცესის დრენირება (სიცოცხლისათვის საშიში ზემო სასუნთქი გზების ობსტრუქციის პირობებში);
- ბ.ძ) ლატერალური კანთოტომია;
- ბ.წ) არტერიების კათეტერიზაცია;
- ბ.ჭ) ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია;
- ბ.ხ) ფრჩხილების მოცილება;
- ბ.ჯ) ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება, გაკერვა სასწავლო კურიკულუმით დადგენილ ფარგლებში;
- ბ.ჰ) ესქაროტომია (მკვდარი ქსოვილების მოცილება);
- ბ.ჰ<sup>1</sup>) ქსოვილთა ნიმუშების აღება ბაქტერიოლოგიისათვის;
- ბ.ჰ<sup>2</sup>) ხერხემლის ტრავმული დაზიანების საწყისი მართვა/იმობილიზაცია;
- ბ.ჰ<sup>3</sup>) პირველადი სასწრაფო დახმარება თვალის ტრავმის, ჭრილობების, დამწვრობის დროს;
- ბ.ჰ<sup>4</sup>) რესუსკიტაცია – საბაზისო სიცოცხლის უზრუნველყოფა (BLS);
- ბ.ჰ<sup>5</sup>) კარდიოპულმონური და ფარმაკოლოგიური რესუსკიტაცია (ACLS);
- ბ.ჰ<sup>6</sup>) პედიატრიული რესუსკიტაცია (PALS);
- ბ.ჰ<sup>7</sup>) ტრამეული პაციენტების რესუსკიტაცია (ATLS);
- ბ.ჰ<sup>8</sup>) დროებითი ხელოვნური რითმის მართვა (ტრანსკუტანეული, ტრანსვენური) - გადაუდებელ შემთხვევებში;
- ბ.ჰ<sup>9</sup>) დეფიბრილაცია/კარდიოვერსია;
- ბ.ჰ<sup>10</sup>) უნივერსალური უსაფრთხოების ზომების განხორციელება;

ბ.311) ბიოლოგიური საშიში ნივთიერებების დეკონტამინაცია;

ბ.312) გადაუდებელი მშობიარობის მიღება;

ბ.313) გადაუდებელი საკეისრო კვეთა ნაყოფის სასიცოცხლო ჩვენებით (გარდაცვლილი დედა);

ბ.314) ტრავმული კიდურების დროებითი იმობილიზაცია.